


alGOVrithms

(სამთავრობო ალგორითმები)
ავტომატიზებული გადაწყვეტილებების
გამოყენება.

პოლიტიკის რეკომენდაციები
გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის



alGOVrithms (სამთავრობო ალგორითმები) – ავტომატიზებული გადაწყვეტილებების გამოყენება.

alGOVrithms

(სამთავრობო ალგორითმები)

ავტომატიზებული გადაწყვეტილებების გამოყენება.

პოლიტიკის რეკომენდაციები გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის

ავტორი (ანგარიშის alGOVrithms – მიხედვით): კუიშტოფ იზდებსკი

რედაქტორი: ჯილ დეივისი


პროექტის კოორდინატორი: მარტა სკოტნიცკა

გრაფიკული დიზაინი: იაკუბ ვალუხოვსკი, Kontrabanda

ფონტი: Azo Sans by Rui Abreu & Arial Unicode MS



The project is co-financed by the Governments of Czechia, Hungary, Poland and Slovakia through Visegrad Grants from International Visegrad Fund. The mission of the fund is to advance ideas for sustainable regional cooperation in Central Europe.



ქვემოთ წარმოგიდგინებთ პოლიტიკის რეკომენდაციებს, რომლებიც მოამზადა ePaństwo Foundation-მა ჩეხეთში, საქართველოში, უნგრეთში, პოლონეთში, სერბეთსა და სლოვაკეთში ჩატარებული ვრცელი კვლევის საფუძველზე. რეკომენდაციები გამოქვეყნებულია ანგარიშში „alGOVrithms - the State of Play“.

ანგარიშში შეტანილია მონაცემები და ანალიზი, რომელიც შეგროვდა ePaństwo Foundation-ის, KohoVolit.eu-ის (ჩეხეთისა და სლოვაკეთისთვის), IDFI-ის, K-Monitor-ისა და CRTA-ის მიერ 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის აპრილამდე პერიოდში.

ჩვენ მრავალ სფეროში გამოვავლინეთ ავტომატიზებული გადაწყვეტილებების გამოყენება; ესენია: სიჩქარის კონტროლი, მოსამართლეებისა და სხვა საჯარო მოხელეების განაწილება, კონტროლისა და ინსპექტირების ჩატარება, სოციალური შეღავათების განაწილება, თაღლითობის შემთხვევების გამოვლენა და საჯარო შესყიდვებში კონტრაქტორების შერჩევაც კი.

ჩვენ ვხედავთ ჩვენს როლს იმაში, რომ შეძლებისდაგვარად მოვიძიოთ პასუხები და გამოვავლინოთ კონკრეტული სისტემური პრობლემები. ჩვენ ცალკე მოვამზადეთ პოლიტიკის რეკომენდაციები იმაზე, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ გადაწყვეტილების მიმღებები ამ ახალ გამოწვევებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ დოკუმენტში ჩამოთვლილი რეკომენდაციების განხილვა და შესრულება, რადგან ალგორითმების გამოყენება სულ უფრო იზრდება მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობაში, რის გამოც მალე შეიძლება გვიან იყოს ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ეფექტური და უსაფრთხო სისტემის ჩამოყალიბება. მთავრობებს არ დაუნერგავთ ალგორითმების კონტროლის დამოუკიდებელი მექანიზმები, არ არსებობს ეთიკური ნორმები და საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ ხდება ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღება.

დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოვაჩინეთ ხელოვნური ინტელექტის ან მანქანისმიერი დასწავლის სხვა ფორმების გამოყენების მაგალითი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ალგორითმების გამოყენებას ადამიანის უფლებების მხრივ (მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება) პოტენციური რისკები თან არ ახლავს.

მიგნებები


კვლევაში მონაწილე არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფოს დონის პოლიტიკა სამთავრობო ალგორითმების (alGOVrithms) გამოყენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, პოლონეთი¹ და ვიშეგრადის ოთხი წევრი ქვეყანა², მუშაობენ ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიებზე, არცერთ მათგანს არ გააჩნია ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების მარეგულირებელი ყოვლისმომცველი დოკუმენტები. წინამდებარე ანგარიში, ალბათ, პირველი დოკუმენტია, რომელიც აღწერს ამ ფენომენის ფართო პერსპექტივას. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი პოლიტიკის რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება იმ გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ, რომლებიც მომავალში ამ ინსტრუმენტებზე იმუშავებენ. პოლონეთში, არც ციფრულ საქმეთა სამინისტრო და არც პრემიერ-მინისტრის კანცელარია არ მუშაობს ამ საკითხზე. **გარდა ამისა, კვლევის მონაწილე არცერთ ქვეყანას არ გააჩნია ეთიკური ჩარჩო.**

მეტც, ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც რაიმე საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც დეტალურად აღწერდა ამ კუთხით სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებსა და ვალდებულებებს. არსებობს მხოლოდ ვიწრო იურიდიული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ალგორითმების გამოყენების ცალკეულ შემთხვევებს, როგორცაა სასამართლო საქმეების ავტომატური განაწილება მოსამართლეებისთვის. ამის მაგალითებია: საქართველო, სადაც შეიცვალა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი,³ პოლონეთი, სადაც 2017 წლის 28 დეკემბერს იუსტიციის მინისტრმა შეცვალა დებულება საერთო სასამართლოების ფუნქციონირების წესების შესახებ, და სერბეთი, რომელიც სასამართლოს დებულების (2009) მეშვეობით არეგულირებს მოსამართლეთა შერჩევის სისტემას.⁴

მხოლოდ უნგრეთში მოიპოვება ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ზოგადი, მაგრამ მაინც არა ყოვლისმომცველი, რეგულაცია – კანონი „ზოგადი საჯარო ადმინისტრირების პროცედურებში გადაწყვეტილების მიღების შესახებ“ არეგულირებს კლიენტთა მოთხოვნებზე გადაწყვეტილების მიღების დროს ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ევროკავშირის ქვეყნებში ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესები შემოღებულ იქნა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 2018 წლის მაისში ამოქმედების შემდეგ.⁵ GDPR-ის 22.1 მუხლის თანახმად, „მონაცემთა სუბიექტს ექნება უფლება, არ დაექვემდებაროს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია მხოლოდ ავტომატიზებული გადაწყვეტილების, მათ შორის, პროფილირების, საფუძველზე, რომელის მასზე ახდენს სამართლებრივ ან ანალოგიური მნიშვნელობის გავლენას“. როგორც ჩანს, ეს დებულება უმეტეს შემთხვევაში არ არის რელევანტური, რადგან იმისათვის, რომ ალგორითმს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა მოქალაქეზე, საჭიროა არსებობდეს „ადამიანის ფაქტორი“. ასევე, როგორც ჩანს, ეს დებულება არ ეხება კვლევის მონაწილე თითოეულ ქვეყანაში აღმოჩენილ

1. https://www.gov.pl/documents/31305/436699/Za%C5%82o%C5%B4Cenia_do_strategii_AI_w_Polsce_-_raport.pdf/a03eb166-0ce5-e53c-52a4-3bfb903edf0a
2. https://www.vlada.cz/assets/evropske-zalezitosti/umela-inteligence/V4_NON_PAPER_ON_AI_09_04_2018.pdf
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=33>
4. სასამართლოს რეგლამენტი (2009) arhiva.mpravde.gov.rs/images/Court%20Rulles%20of%20Procedure_180411.pdf
5. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32016R0679>



სიჩქარის გაზომვის ავტომატიზებულ სისტემებს, რადგან, როგორც ეს პრადის მაგალითიდან ჩანს, „თითოეული გადაწყვეტილება უნდა განხილულ იქნას ადამიანის მიერ (მუნიციპალური პოლიციის წარმომადგენელი)“.⁶

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოყენებული ალგორითმები არ არის გამჭვირვალე და არ არსებობს წვდომა მათ საწყის კოდზე. პოლონეთში, იუსტიციის მინისტრმა უარი განაცხადა ePaństwo Foundation-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე და აღნიშნა, რომ მოსამართლეთა შემთხვევითი განაწილების ალგორითმი ტექნიკური ინფორმაციაა, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ პოლონეთის კანონით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციას. ასევე არ არის საჯარო ალგორითმი, რომელიც გამოიყენება „STIR – Clearance Chamber“ სისტემაში, ამ შემთხვევაში უსაფრთხოების მიზეზით (სისტემა დაწერგლია შემდეგი კანონის საფუძველზე: საკანონმდებლო აქტი ფინანსური სექტორის გამოყენებით საგადასახადო თაღლითობის ჩადენის აღმოფხვრის მიზნით გარკვეულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ).

მსგავსი ალგორითმების საწყის კოდზე წვდომა სხვა ქვეყნებშიც შეზღუდულია უსაფრთხოების ან სავაჭრო უფლებების მიზეზით. ზოგჯერ პროდუქტი ეკუთვნის კერძო კომპანიას; ასეთი მდგომარეობა იყო სლოვაკეთში, სადაც იუსტიციის საბჭომ განაცხადა, რომ მის სისტემაში მოქმედი ალგორითმი მის მფლობელობაში არ იყო. ჩებითში, ზოგადად, ალგორითმების კოდები არ არის საჯარო; ისინი ექვემდებარებიან სავაჭრო უფლებებს და არ ეკუთვნიან საჯარო დაწესებულებას (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა).

კვლევის შედეგად ასევე არ გამოვლინდა არც ერთი ინსტიტუცია, რომელიც ზედამხედველობს ან გააჩნია ყოვლისმომცველი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ავტომატიზებული გადაწყვეტილების სისტემები არსებობს ქვეყანაში. ყველა გამოკვლეულ ქვეყანაში საქართველოს მსგავსი სიტუაციაა, სადაც არ არსებობს საჯარო დაწესებულება, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია საჯარო სექტორში ალგორითმის გამოყენების შესახებ პოლიტიკის მიღებასა და განხორციელებაზე. პირიქით, თითოეულ საჯარო დაწესებულებას შეუძლია შეიმუშაოს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა თავისი საჭიროებებისა და პროგრამების შესაბამისად.

გარდა სერბეთის შემთხვევისა, სადაც მოსამართლეებზე საქმეთა განაწილების სისტემას აუდიტი დონორმა (ევროკავშირის) ჩაუტარა, არ არსებობს გარე და დამოუკიდებელი აუდიტის მექანიზმები, რომლებიც ალგორითმული ოპერაციების სიზუსტესა და სამართლიანობას შეაფასებდა.

რეკომენდაციები

დროა შევიმუშაოთ და დავწეროთ თანმიმდევრული პოლიტიკა ავტომატიზებული გადაწყვეტილებების შესახებ. ჩვენ შემდეგ პრინციპებს გთავაზობთ:

- **ალგორითმის გამოყენების პოლიტიკის ჩამოყალიბება** კვლევის დროს გამოვლინდა, რომ მაკოორდინირებელმა პირებმა, მაგალითად, პრემიერ-მინისტრებმა, არ იციან, რომ მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანოები და სხვა საჯარო დაწესებულებები უკვე იყენებენ ალგორითმებს. მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ ერთიანი პოლიტიკა, მათ შორის ეთიკური პრინციპები, რათა ალგორითმები შექმნის პროცესი იყოს სისტემურად შეთანხმებული. პოლიტიკამ ასევე უნდა შემოიღოს გარე და დამოუკიდებელი ორგანოების მიერ ჩატარებული ალგორითმების სავალდებულო აუდიტები. ამისთვის საჭიროა:


- **მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში**

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ახალ დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკის განხორციელებაზე და მისი აღსრულების კონტროლზე. თუმცა, მიგვაჩნია, რომ საჭიროა არსებულ საჯარო დაწესებულებებს შორის ერთი უწყების გამოვლენა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ალგორითმების კოორდინაციაზე, მათ შექმნაზე და არსებული ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე.

- **ავტომატიზებული გადაწყვეტილებების შესახებ მკაფიო და კომპლექსური საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება**

არსებული დებულებები და მოძველებული ადმინისტრაციული სისტემები სათანადოდ ვერ რეაგირებენ ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა დაამკვიდროს „ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების“ განმარტება, რომელიც გაითვალისწინებს მის კომპლექსურ ბუნებას და პოტენციური გამოყენების ფართო სპექტრს. საკანონმდებლო ჩარჩომ ასევე უნდა განსაზღვროს ზოგადი წესები ალგორითმების საწყისი კოდის გამჭვირვალობის შესახებ და დაადგინოს მისი ღიაობის მკაფიო ვალდებულება. ამ უკანასკნელში იგულისხმება ინფორმაცია იმაზე, თუ რა სახის მონაცემები მუშავდება და სხვა რა ფაქტორების ითვალისწინებს ალგორითმი. კანონი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ალგორითმული ზემოქმედების შეფასების განხორციელების საჭიროებას ალგორითმის შექმნამდე, ისევე როგორც ალგორითმის ამუშავებამდე ეთიკური სახელმძღვანელო შექმნის აუცილებლობას.

6. ასევე: S Wachter, B Mittelstadt, and L Floridi, 'Why a Right to Explanation of Automated Decision-Making Does Not Exist in the General Data Protection Regulation' (2017) 7 IDPL 76.



– ეთიკის სახელმძღვანელო

ეს დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ისეთ ძირეულ პრინციპებს, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შორის, პირის უფლება იცოდეს თუ მისი რა მონაცემი მუშავდება და როგორ. ასევე საჭიროა, რომ ყოველი ალგორითმის შექმნის დროს ალგორითმული ზემოქმედების შეფასების ფარგლებში მოხდეს ეთიკური პრობლემების დოკუმენტირება.

– სამთავრობო ალგორითმების შექმნის მთელ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გარე ექსპერტების ჩართვა

ალგორითმების შექმნის პროცესში მულტიდისციპლინური მიდგომა აუცილებელია მათი რთული ბუნების გამო. თანამშრომლობის შეზღუდვა მხოლოდ საჯარო მოხელეებსა და IT კომპანიებს ან დეპარტამენტებს შორის ზრდის საზოგადოებაზე ალგორითმების უარყოფითი გავლენის რისკს. ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს შეუძლიათ ექსპერტული ცოდნის გაზიარება სოციალური ჩართულობის, თანასწორობის, დისკრიმინაციის პრევენციისა და მთავრობის გამჭვირვალობის შესახებ. არსებობს ასევე მზარდი ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც შეუძლია მთავრობას დაეხმაროს ისეთი ინსტრუმენტების შექმნაში, რომლებიც მიზნად ისახავს მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ინტერესების მხარდაჭერას, და არა უბრალოდ საჯარო დაწესებულებების კომფორტისა და ხშირად მათი არასწორად აღქმული „ეფექტურობის“ გაზრდას. ასევე არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ეთიკისა და სამართლის სფეროების ექსპერტების მზარდი სპექტრი, რომლებმაც უკვე დააგროვეს ფართო გამოცდილება ამ სფეროში. ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც ალგორითმების გამოყენების შესახებ ზოგად დისკუსიაში, ისე კონკრეტული ალგორითმის შექმნის პროცესში. სამოქალაქო საზოგადოება და გარე ექსპერტები ასევე ჩართულნი უნდა იყვნენ ალგორითმის მუშაობის აუდიტსა და მონიტორინგში, და მისი შედეგების პირველად ვარაუდებთან შესაბამისობის შეფასების პროცესში.

– რითმული ზემოქმედების შეფასების დანერგვა

ჩვენ ვხედავთ ალგორითმული ზემოქმედების შეფასების დანერგვის აუცილებლობას, რომელიც დაეფუძნება კანონმდებლობის სფეროში უკვე მექანიზმებს, როგორცაა მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასება. მას შემდეგ, რაც ალგორითმული ზემოქმედების შეფასება სავალდებულო გახდება მთავრობასა და მოქალაქეს შორის ურთიერთობაში ტექნოლოგიური სიახლის დანერგვის პროცესისთვის, ჩვენ გვცოდინება, თუ რისი მიღწევა სურს მთავრობას ან მის რომელიმე ორგანოს, როგორ გაზომავს იგი პროგრესს, რა ჯგუფებს შეეხება სიახლე, რა რისკებს წარმოშობს იგი და როგორ შეიძლება ამ რისკების პრევენცია. ალგორითმული ზემოქმედების შეფასება ასევე უნდა ითვალისწინებდეს ალგორითმის შექმნაზე უარის თქმის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში, როდესაც რისკი აჭარბებს სარგებელს. ასეთი შეფასება ასევე იძლევა შესაძლებლობას ახსნას, თუ როგორ მუშაობს ალგორითმი, რა მონაცემები იქნება გამოყენებული და რა არის სასურველი შედეგი.

– გამჭვირვალობის დებულებების შემოღება ალგორითმის შემქმნელ კომპანიებთან დადებულ კონტრაქტებში და ღია წვდომა საწყის კოდთან.

უმრავლეს შემთხვევაში, საწყის კოდთან წვდომა არ არსებობს საავტორო უფლებების ან რაიმე სხვა მიზეზის გამო. ზოგიერთ ქვეყანაში, საწყისი კოდი არ ითვლება საჯარო ინფორმაციად. საწყის კოდთან წვდომა უპირობოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წვდომის შეზღუდვა აშკარად გამართლებულია (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველზე) და საჯარო დაწესებულებას შეუძლია უარი თქვას ალგორითმის ტექნიკური ასპექტების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, გარე მომსახურების მიწოდებელმა სისტემის შესახებ სრული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს იმ საჯარო დაწესებულებას და თანამდებობის პირს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ სისტემასთან.


მომსახურების მიწოდებლებმა ასევე უნდა გამართონ რეგულარული შეხვედრები, მათ შორის სემინარების სახით, იმ საჯარო მოხელეებთან, რომლებიც უშუალოდ იყენებენ ინსტრუმენტს, რათა მიიღონ მათგან უკუკავშირი პრობლემების, რისკების და სხვა გამოწვევების შესახებ.

– ალგორითმების გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოების შედგენა


ამგვარი სახელმძღვანელო საჭიროა არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ იმ საჯარო მოსამსახურეებისთვის, ვინც პირდაპირ ან ირიბად მუშაობს ალგორითმის შემცველ ინსტრუმენტთან. ეს ხელს შეუწყობს ალგორითმის მუშაობის პრინციპისა და მისი პოტენციური რისკების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ეს ასევე დაეხმარება სასამართლოს ისეთი საქმეების განხილვაში, სადაც მოქალაქე ეწინააღმდეგება მის მიმართ პირდაპირ ან ირიბად მიღებულ ავტომატიზებულ გადაწყვეტილებას. ასეთი სახელმძღვანელოები რეგულარულად უნდა განახლდეს სისტემის ოპერირების შედეგების გათვალისწინებით.

– დავების განხილვისა და გადაწყვეტის სისტემის შემოშავება

ყველა გამოკვლეულ ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ზოგადი უფლება სასამართლოს გზით დაუპირისპირდე ავტომატიზებულად მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი საშუალება. საჯარო ადმინისტრირების სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ ალგორითმის მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეცდომის ან სხვა დარღვევის შემთხვევაში იარსებებს საქმის განხილვის (აუდიტი) და გადაწყვეტის სისტემა. ეს სისტემა ასევე უნდა შეიცავდეს ზუსტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში ვინ არის პასუხისმგებელი ალგორითმის სიზუსტესა და სამართლიანობაზე. ასევე რეკომენდებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რათა გათვალისწინებული იყოს სანქციები ისეთი ალგორითმების შექმნაზე, რომლებიც ლახავენ მოქალაქის პირადი ცხოვრების უფლებასა და არღვევენ სამართლიან და თანაბარ მოპყრობას.



გარდა ამისა, საჭიროა კონკრეტული ალგორითმების შემთხვევაში რეგულარული ინსპექტირების შემოღება. ინსპექტირება უნდა ჩატარდეს გარე ექსპერტების ჯგუფის მიერ, რომელიც შეამოწმებს ინსტრუმენტის სამართლიანობასა და სიზუსტეს. ინსპექტირების შედეგები უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე.



პოლიტიკური რეკომენდაციები მომზადდა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – alGOVrithms. მოქალაქეები კომპიუტერული პროგრამებით კონტროლდება? (ვიშეგრადის გრანტის No. 21820296) - ფარგლებში

პროექტის მხარდამჭერი:

-
- Visegrad Fund
-
-

პროექტის პარტნიორები:



პოლიტიკური რეკომენდაციების ციფრული ვერსია ხელმისაწვდომია:
https://idfi.ge/ge/algovrithms_policy_recommendations,
<https://epf.org.pl/en/projects/algovrithms/>



#algorithms

2019